

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო (შემდგომში – სამინისტრო) არის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი სამთავრობო დაწესებულება, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე შეიმუშავებს ქვეყნის პოლიტიკას კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში და კოორდინაციას უწევს მის განხორციელებას.
2. სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ დებულების შესაბამისად.
3. სამინისტროს ცენტრალური აპარატი, სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები და მის კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირები ქმნიან სამინისტროს ერთიან სისტემას.
4. სამინისტრო ანგარიშვალდებულია საქართველოს მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.
5. სამინისტროს აქვს დებულება, ბეჭედი საქართველოს სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და საკუთარი სახელწოდების აღნიშვნით, დასრულებული ბალანსი, ხარჯთა ნუსხა და ანგარიში სახელმწიფო ხაზინაში.
6. სამინისტროს დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი.
7. სამინისტრო ეფუძნება ერთმმართველობის პრინციპს. სამინისტროს კომპეტენცია დგინდება კანონით და/ან კანონის საფუძველზე გამოცემული საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებებით. სამინისტროს უფლება არა აქვს, გადასცეს სხვა სახელმწიფო ან არასახელმწიფო დაწესებულებას უფლებები და მოვალეობები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მის კომპეტენციას განეკუთვნება.
8. სამინისტრო მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კონსტიტუციის, სხვა კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებების ან განკარგულებების, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტების საფუძველზე და მათ შესასრულებლად.
9. სამინისტროს ადგილსამყოფელია: საქართველო, ქ. თბილისი, 0105, სანაპიროს ქუჩა №4.

მუხლი 2. სამინისტროს საქმიანობის სფერო და ამოცანები

1. სამინისტროს საქმიანობა მოიცავს კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებს.
2. კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

ა) კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია;

ბ) მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით ყოველ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი კულტურული და შემოქმედებითი მოღვაწეობის ნიმუშების, ფოლკლორის, ისტორიულ, არქეოლოგიურ, ეთნოლოგიურ, მემორიალურ, რელიგიურ, ესთეტიკურ, მხატვრულ, მეცნიერულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ თუ სხვა კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა, დაცვა, შენარჩუნება და პოპულარიზაცია;

გ) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ მიზნით მისი სისტემატური შემოწმება; მოძრავი და უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში შეტანისა და მათი რეესტრიდან ამორიცხვის წესების დადგენა და შესრულება; ძეგლებისა და ძეგლის ნიშნის მქონე ობიექტების გამოვლენა, მათი ექსპერტიზა და კლასიფიკაცია; კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო ბანკის შექმნა; შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლების, ძეგლთა კომპლექსების, ურბანული ძეგლების დამცავი ზონების დადგენა-დამტკიცება; ძეგლებზე ყოველგვარი სამუშაოს განხორციელების მეთოდოლოგიის დადგენა და მისი მიმდინარეობის კონტროლი; შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ხელყოფის აღკვეთა; კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ძეგლებისა და ობიექტების გამოვლენისა და დაცვისათვის ანტიკვარული ნივთებით ვაჭრობის რეგულირება და შესაბამის სახელმწიფო ორგანოებთან ერთად მისი კონტროლი; შესაბამისი პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საქართველოს ძეგლების საერთაშორისო სტატუსის განსაზღვრისა და აღდგენა-დაცვის მიზნით; მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების მიზნით ამ პროფილის საგანმანათლებლო საქმიანობის, პროფესიული დაოსტატების ხელშეწყობა; საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების დაცვისა და გამოყენებისათვის რეგიონალური სამსახურების ჩამოყალიბებისა და განვითარების მხარდაჭერა; კულტურული მემკვიდრეობის სფეროში კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სხვა საქმიანობის განხორციელება;

დ) ხელოვნების სფეროს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და კოორდინაცია; თეატრის, კინოს, მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური ხელოვნების დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, ტრადიციების შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია;

ე) კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ერთიანი სამუხეუმო პოლიტიკის წარმართვა; მუხეუმებში დაცული ეროვნული საგანძურის, სამუხეუმო ნივთებისა და კოლექციების გამდიდრება, ექსპონატების აღრიცხვისა და დაცვის წესების შემუშავება და მათი განხორციელების უზრუნველყოფა;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში წიგნისა და საბიბლიოთეკო სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება; საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად დარგების სახელმწიფო კონცეფციის შემუშავება; ლიტერატურული და საგამოცემლო საქმიანობის ხელშეწყობა; სახელმწიფო ბიბლიოთეკების მატერიალური უზრუნველყოფის ზედამხედველობა; ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად ბიბლიოთეკებისათვის მეთოდური დახმარების გაწევა; საბიბლიოთეკო სტანდარტების დაცვა და კონტროლი; სახელმწიფო პროგრამების მომზადება და განხორციელება;

ზ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად სახელოვნებო განათლების კოორდინაცია; თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებათა სახელმწიფო დაკვეთის პროექტების შემუშავება; უწყვეტი სახელოვნებო განათლების უზრუნველყოფა;

თ) კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერ ბავშვთა და ახალგაზრდათა, ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთათვის სახელმწიფო მხარდაჭერა; თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად მათი განხორციელება;

ი) თავისი მმართველობის სფეროებთან დაკავშირებულ საქართველოსა და საზღვარგარეთის სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობა და ამ სფეროების განვითარების მიზნით თანამშრომლობის განმტკიცება;

კ) კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;

ლ) დადგენილი წესით მოქმედი საკანონმდებლო ბაზის დასახვეწად თავისი გამგებლობის სფეროსთან დაკავშირებული საკანონმდებლო და კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება;

მ) დამკვეთის ფუნქციის შესრულება კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროების განვითარებისათვის საჭირო კაპიტალური მშენებლობის, სარეკონსტრუქციო და სარემონტო სამუშაოების წარმოების მიზნით;

ნ) კანონით დადგენილი წესით რეკომენდაციათა შემუშავება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ძეგლების, არქიტექტურულ-სკულპტურული და დეკორატიული კომპოზიციების აგების, განთავსების ან დემონტაჟის შესახებ;

ო) საზღვარგარეთ საქართველოს კულტურის ცენტრების შექმნის, კულტურის დღეების, გაცვლითი გასტროლების, გამოფენების მოწყობის ხელშეწყობა, შემოქმედებითი კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების სხვადასხვა ქვეყანაში გასამართავ ფესტივალებში, კონკურსებსა და გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

პ) სამინისტროს ცენტრალურ აპარატსა და სისტემის დაწესებულებებში მონიტორინგის, აუდიტორული და სარევიზიო მუშაობის განხორციელება;

ჟ) კანონით დადგენილი წესით კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებისათვის ბიუჯეტით გამოყოფილი სახსრების განაწილება.

3. თავისი ამოცანების შესრულებისას სამინისტრო:

ა) თანამშრომლობს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოებთან, აგრეთვე სხვა იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან;

ბ) საჭიროების შემთხვევაში თავის აპარატში ხელშეკრულებით იწვევს ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებსა და ტექნიკურ მუშაკებს;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანების სახით გამოსცემს სტანდარტებს, ნორმატივებს, მითითებებს, დებულებებს და აკონტროლებს მათ შესრულებას;

დ) დადგენილი წესით აწყოფს საერთაშორისო, შიდასახელმწიფოებრივ და ადგილობრივ სემინარებს, კონფერენციებს, ფესტივალებს, კონკურსებს, კონცერტებს, გამოფენებს, გამოფენა-გაყიდვებს, აუქციონებსა და სხვა ღონისძიებებს.

მუხლი 3. სამინისტროს კომპეტენცია

1. კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში დადგენილი წესის შესაბამისად სამინისტრო თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) სარგებლობს საბიუჯეტო სახსრებით;

ბ) კოორდინაციას უწევს კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროების განვითარების პროგრამების განხორციელებას;

გ) ზრუნავს კულტურის სფეროში საავტორო უფლებათა დაცვისათვის;

დ) ქმნის პირობებს კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროებში საზღვარგარეთის ქვეყნებთან ფართო თანამშრომლობისათვის;

ე) ხელს უწყობს საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური კულტურის კერებისა და ფონდების შექმნას; დახმარებას უწევს კულტურის დაწესებულებებს საერთაშორისო ორგანიზაციებში გაწევრებაში, პარტნიორების შერჩევასა და უცხოური საინვესტიციო კაპიტალის მოზიდვაში, ამ საქმიანობის ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზის შექმნაში;

ვ) საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე შემოქმედებსა და კულტურის ორგანიზაციებს ხელს უწყობს კულტურულ ღირებულებათა დაცვაში, მათ შესწავლასა და პოპულარიზაციაში;

ზ) ხელს უწყობს კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმის განვითარებას;

თ) ახორციელებს თავისი მმართველობის სფეროში რეგისტრირებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთა აღრიცხვასა და კონტროლს.

მუხლი 4. სამინისტროს სისტემა

სამინისტროს სისტემაში შედიან:

ა) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები;

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირები, რომელთა სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს სამინისტრო.

მუხლი 5. სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურა

სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) მინისტრის აპარატი;
- ბ) ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტი;
- გ) კულტურის პოპულარიზაციისა და რეგიონალური პროგრამების დეპარტამენტი;
- დ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;
- ე) ადმინისტრაციული დეპარტამენტი;
- ვ) კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი;
- ზ) შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტი;
- თ) იურიდიული დეპარტამენტი;
- ი) ფინანსური რესურსების მართვის დეპარტამენტი;
- კ) პროექტების განხილვისა და მონიტორინგის დეპარტამენტი.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №204 – ვებგვერდი, 15.08.2013წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №718 – ვებგვერდი, 29.12.2014წ.

მუხლი 6. სამინისტროს ხელმძღვანელობა, ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობანი

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომელიც ერთმმართველობის პრინციპზე დაყრდნობით, საქართველოს კონსტიტუციით, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამართლებრივი აქტებით და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში ახორციელებს სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებათა მართვასა და საქმიანობის კოორდინაციას.

2. მინისტრს თანამდებობაზე ნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოს პრეზიდენტის თანხმობით. მინისტრი უფლებამოსილებას იხსნის საქართველოს პრეზიდენტის წინაშე. მინისტრის საქმიანობას კოორდინაციასა და კონტროლს უწევს საქართველოს პრემიერ-მინისტრი, რომელიც უფლებამოსილია, თანამდებობიდან გაათავისუფლოს მინისტრი. პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტა იწვევს მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტას. მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტა, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილებათა შეწყვეტის საფუძველია.

3. მინისტრი:

- ა) ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებისა და განკარგულებების, საქართველოს მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებისათვის;

გ) ზედამხედველობს და თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ერთეულებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ თავიანთ მოვალეობათა შესრულებას, მათი საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას; კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

დ) კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროს საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ საჯარო მოსამსახურეებს, მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს;

ე) შესაბამის საკონკურსო-საატესტაციო კომისიასთან შეთანხმებით ადგენს საკონკურსო და საატესტაციო მოთხოვნებს სამინისტროს მოხელეებისადმი; ამტკიცებს სამინისტროს სისტემაში სტაჟირების გავლის წესს;

ვ) დადგენილი წესით საქართველოს მთავრობას განსახილველად წარუდგენს ნორმატიული აქტების პროექტებს;

ზ) დადგენილი წესით წყვეტს სამინისტროს თანამშრომელთა პრემიებისა და მატერიალური დახმარების საკითხებს;

თ) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს წინადადებებს სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხების შესახებ და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ბიუჯეტის პროექტის შესახებ; იღებს გადაწყვეტილებებს საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ და პასუხისმგებელია ბიუჯეტის ზუსტად შესრულებისათვის;

ი) სახელმწიფო ბიუჯეტის შესაბამისად ამტკიცებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხარჯთა ნუსხებს, ახორციელებს მათი შესრულების კონტროლს და, საჭიროების შემთხვევაში, იძლევა მითითებებს საბიუჯეტო სახსრების გამოყენების შესახებ;

კ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ადგენს და ამტკიცებს სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა სტრუქტურასა და საქმიანობის წესს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი დადგენილია მინისტრის ბრძანების ზემდგომი სამართლებრივი აქტებით;

ლ) ამტკიცებს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებს, სამინისტროში მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობის წესებს და განსაზღვრავს მათ უფლება-მოვალეობებს;

მ) ძალადაკარგულად ცნობს პირველი მოადგილის, მოადგილეებისა და სამინისტროს თანამდებობის პირების, სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებათა ხელმძღვანელების იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებსა და მოქმედებებს, რომლებიც არ შეესაბამება საქართველოს

კონსტიტუციას, სხვა კანონებს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებსა და განკარგულებებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებებსა და განკარგულებებს, მინისტრის ბრძანებებს;

ნ) კანონის საფუძველზე და მის შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს და პასუხისმგებელია ბრძანებათა კანონიერებისა და მიზანშეწონილობისათვის; ამტკიცებს სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტის – მოწმობის ფორმას და მისი გაცემის წესს;

ო) სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელებისას გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს;

პ) უფლებამოსილია, სამინისტროს თანამდებობის პირთა და მოხელეთა მოქმედების სამსახურებრივი ზედამხედველობა დააკისროს პირველ მოადგილეს;

ჟ) უფლებამოსილია, ერთ-ერთ მოადგილეს დააკისროს საპარლამენტო მდივნის ფუნქცია;

რ) ასრულებს მისთვის საქართველოს კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებითა და განკარგულებებით, საქართველოს მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

4. მინისტრის უფლებამოსილება წყდება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 7. მინისტრის მოადგილეები

1. მინისტრს ჰყავს ხუთი მოადგილე, მათ შორის, ერთი – პირველი.

2. მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს მინისტრის წარდგინებით, საქართველოს პრეზიდენტთან შეთანხმებით, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

3. მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების უფლებამოსილება განისაზღვრება მინისტრის ბრძანებით, რომლითაც დგინდება, თუ რომელი სტრუქტურული ერთეულის, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას გაუწევინოს ისინი კოორდინაციასა და ხელმძღვანელობას, თუ კანონით ან საქართველოს მთავრობის სამართლებრივი აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

4. მინისტრის პირველი მოადგილე ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს სამინისტროს საქმიანობას მინისტრის არყოფნისას.

5. მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე მინისტრის დავალებით ახორციელებს საპარლამენტო მდივნის ფუნქციას.

6. მინისტრის მოადგილეების უფლებამოსილება განისაზღვრება მინისტრის უფლებამოსილების ვადით.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 ივლისის დადგენილება №209 - სსმ III, №92, 28.07.2010წ., მუხ.1356

მუხლი 8. სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ამოცანები და კომპეტენცია

1. მინისტრის აპარატის კომპეტენციაა:

ა) მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების სამსახურებრივი დავალებების მიღება, შესრულება და დანიშნულებისამებრ მათი ოპერატიული მიწოდება; მინისტრის მიერ დანიშნული თათბირებისა და სხვა შეკრებების ორგანიზაციული უზრუნველყოფა; მინისტრის საჯარო გამოსვლებისა და მოხსენებების მომზადების კოორდინაცია; მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების მიერ მოქალაქეთა მიღების ორგანიზება და სხვა მიმდინარე საკითხების სამინისტროს ხელმძღვანელობის მითითებით გადაწყვეტა;

ბ) სამინისტროში მიმდინარე პროცესებისა და გაწეული საქმიანობის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით საზოგადოების ფართო ფენებისათვის გაცნობა; სამინისტროს ინფორმაციული უზრუნველყოფა; ქვეყანაში კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პოლიტიკის შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესწავლა.

2. ხელოვნებისა და განათლების დეპარტამენტი შეიმუშავებს სამინისტროს პოლიტიკას დეპარტამენტის კომპეტენციის სფეროში შემავალი დარგების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიული დაგეგმვის მიზნით, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ა) საქართველოს პროფესიული ხელოვნების დარგების (თეატრალური, კინო, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული), საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა კულტურის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შემოქმედების, განვითარების და ხელშეწყობის პრიორიტეტების და პროგრამების შემუშავება, მიღწევების პოპულარიზაცია და მონიტორინგი;

ბ) ლიტერატურის განვითარების და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამის შემუშავება, პოპულარიზაცია და მონიტორინგი;

გ) სახელოვნებო განათლების სტრატეგიის, სტანდარტების და პროგრამების შემუშავება და შესრულების მონიტორინგი;

დ) სახელოვნებო განათლების დაწესებულებების პედაგოგიური კადრების ტრენინგების, პროფესიული დაოსტატების, კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების ფორმების შემუშავება და აღნიშნულ სამუშაოთა შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი;

ე) კულტურის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული (არაფორმალური განათლება) პროგრამების შემუშავება და ინიცირება;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში „უმაღლესი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“ და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებით სამინისტროსათვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა განხორციელებაში მონაწილეობა;

ზ) სამინისტროს სისტემაში არსებული სახელოვნებო განათლების დაწესებულებების და სახელოვნებო ორგანიზაციების მუშაობის კოორდინაცია, მონიტორინგი და კომპეტენციის ფარგლებში მეთოდური დახმარების გაწევა;

თ) სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან ერთად წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება სამინისტროს სისტემაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების განვითარების ხელშეწყობის, ანგარიშგებისა და კოორდინაციის მიზნით;

ი) ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში შოთა რუსთაველისა და ეროვნული პრემიების მინიჭების საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა;

კ) კულტურისა სფეროს მუშაკების წახალისების შესახებ მინისტრისათვის წინადადებების წარდგენა;

ლ) საქართველოს ტერიტორიაზე მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების თაობაზე სამინისტროში შემოსული პროექტების განმხილველი კომისიის მუშაობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

3. კულტურის პოპულარიზაციისა და რეგიონალური პროგრამების დეპარტამენტი საქართველოს ფარგლებს გარეთ და საქართველოს რეგიონებში ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების მიზნით შეიმუშავებს სამინისტროს პოლიტიკას შემდეგ მიმართულებებზე:

ა) ქართული კულტურის პოპულარიზაციის სტრატეგიის, პრიორიტეტების და საერთაშორისო და რეგიონალური პროგრამების შემუშავება და მონიტორინგი;

ბ) სახელმწიფო ცერემონიების, კულტურული ღონისძიებების, გამოჩენილ შემოქმედთა საიუბილეო ღონისძიებების, შემოქმედებითი კოლექტივების, ცალკეულ ხელოვანთა და შემსრულებელთა საკონცერტო და საგასტროლო ღონისძიებების დაგეგმარება, პოპულარიზაცია, განხორციელება და მონიტორინგი;

გ) კულტურის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული (არაფორმალური განათლება) პროგრამების შემუშავება და ინიცირება.

4. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი შეიმუშავებს სამინისტროს პოლიტიკას, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ა) სამინისტროს საერთაშორისო პოლიტიკის და სტრატეგიის განსაზღვრა და კოორდინაცია;

ბ) კულტურის პოლიტიკის მოკლე და გრძელვადიან გეგმებზე მუშაობა;

გ) კულტურის სფეროში მიმდინარე ევროინტეგრაციის პროცესების კოორდინაცია;

დ) ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით ნაკისრი ვალდებულებების კომპეტენციის ფარგლებში შესრულების უზრუნველყოფა;

ე) ევროკავშირის კულტურულ პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის ხელშეწყობა;

ვ) საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის უწყებებთან, საერთაშორისო და დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში, საერთაშორისო ხელშეკრულებების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა. საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კოორდინაცია;

თ) სამინისტროს საქმიანობის ხელშეწყობა საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის კუთხით;

ი) სამინისტროს საერთაშორისო სტრატეგიულ დოკუმენტებზე მუშაობა, სფეროს განვითარების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელება;

კ) უცხოეთში საქართველოს საელჩოებთან და საქართველოში აკრედიტებულ საზღვარგარეთის ქვეყნების საელჩოებთან აქტიური თანამშრომლობა;

ლ) სამინისტროს საერთაშორისო ფორუმებში მონაწილეობის უზრუნველყოფა და ანალოგიურ ღონისძიებათა საქართველოში მოწყობა;

მ) საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურის სფეროში თანამშრომლობის მიზნით ხელშეკრულებებისა და შეთანხმების აქტების პროექტების მომზადება;

ნ) კულტურის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული (არაფორმალური განათლება) პროგრამების შემუშავება და ინიცირება.

5. ადმინისტრაციული დეპარტამენტის კომპეტენცია:

ა) სამინისტროს სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება; სამინისტროს ძირითადი საშუალებებისა და ქონების საექსპლუატაციო პირობების შექმნა; მართვისათვის საჭირო თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა, შენობა-ნაგებობისა და ქონების მოვლა-შენახვის, კომუნალური მეურნეობის გამართული ფუნქციონირების, ორგტექნიკითა და სამეურნეო საქონლით მომარაგება და სხვა ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა;

ბ) საკადრო რესურსების ოპტიმიზაცია და მართვა, პერიოდული სტატისტიკური ანალიზი; ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსისა და საჯარო მოსამსახურეთა ატესტაციების ორგანიზება და გამართვა; საჯარო მოსამსახურეთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა დადგენილი წესით დანიშვნის, სამსახურებრივი გადაადგილების (გადაყვანის), გათავისუფლების, დისციპლინური წესით დასჯისა და წახალისების, შვებულებისა და მივლინების შესახებ წინადადებებისა და ბრძანების პროექტების მომზადება; საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება; სახელმწიფო სპეციალურ წოდებათა მინიჭების მიზნით მასალების მომზადება; საარქივო საქმიანობის წარმართვა;

გ) სამინისტროს საქმისწარმოების ორგანიზება; კანონმდებლობის შესაბამისად ცენტრალური აპარატის შინაგანაწესის შემუშავება, სამინისტროში შემოსული ოფიციალური კორესპონდენციისა და მოქალაქეთა განცხადებების დამუშავება და მათი განხილვის მეთვალყურეობა; მინისტრისა და მინისტრის მოადგილეების დავალებათა შესრულების კონტროლი; საიდუმლო საქმისწარმოება; დადგენილი წესით საჯარო ინფორმაციის გაცემა.

6. კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი შეიმუშავებს სამინისტროს პოლიტიკას, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ არსებული კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და მართვის პოლიტიკის განსაზღვრა;

ბ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მართვისა და პოპულარიზაციისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების სტრატეგიული დაგეგმვა და მათი მონიტორინგი;

გ) კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო კონვენციებისა და ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა;

დ) კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობისა და მართვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის მიზნით, სახელმწიფო, საერთაშორისო, საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

ე) კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით, საგანმანათლებლო და ახალგაზრდული (არაფორმალური განათლება) პროგრამების შემუშავება და ინიცირება;

ვ) იუნესკოს მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში მყოფ ძეგლთა დაცვისა და ეფექტური მართვის მექანიზმების დანერგვა;

ზ) საქართველოში არსებული მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენისა და შენარჩუნების ღონისძიებათა განხორციელება და მათი ხელშეწყობა; ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ექსპერტიზა, აღრიცხვა, პასპორტიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა;

თ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა, მისი შესწავლისა და მოვლა-პატრონობის მეთოდოლოგიის შემუშავება;

ი) კულტურული მემკვიდრეობის (კულტურული ფასეულობის) საქართველოდან გატანისა და საქართველოში შემოტანის კონტროლი და რეგულირება, კულტურული მემკვიდრეობის სფეროს ადმინისტრაციულ წარმოებაში კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მინისტრის სათათბირო ორგანოებთან თანამშრომლობა;

კ) კომპეტენციის ფარგლებში არქეოლოგიური სამუშაოების, ძეგლზე სამუშაოების და კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში მიწისა და სამშენებლო სამუშაოების რეგულირება და ზედამხედველობა, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამართალდარღვევათა აღკვეთისა და გამოვლენილ სამართალდარღვევებზე რეაგირების მიზნით შესაბამის ადმინისტრაციულ, სამართალდამცავ და საბაჟო ორგანოებთან თანამშრომლობა;

ლ) ერთიანი სამუზეუმო სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, საქართველოს მუზეუმების სახელმწიფო რეესტრის წარმოება, ქვეყნის მასშტაბით სამუზეუმო საქმიანობის რეგულირება, სამუზეუმო კოლექციების დაცვისა და პოპულარიზაციისათვის ზრუნვა;

მ) სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად წინადადებების და რეკომენდაციების შემუშავება სამინისტროს სისტემაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების განვითარების ხელშეწყობის, ანგარიშგებისა და კოორდინაციის მიზნით.

7. შიდა აუდიტისა და მონიტორინგის დეპარტამენტის კომპეტენციაა: სამინისტროს სისტემის დაწესებულებებში მონიტორინგისა და აუდიტორული საქმიანობის განხორციელება და აღნიშნულის საფუძველზე შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება; ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვისა და მატერიალურ ფასეულობათა დანიშნულებისამებრ

გამოყენების საკითხების შესწავლა; სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების კანონიერების შესწავლა-ანალიზი; სამინისტროს ცენტრალური აპარატისა და სისტემის დაწესებულებების საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა; კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავება და განხორციელება.

8. იურიდიული დეპარტამენტის კომპეტენცია:

ა) სამინისტროს ცენტრალური აპარატის სამართლებრივი უზრუნველყოფა და სახელმწიფო საქმიანობის მონიტორინგი; სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების თაობაზე შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება; სამინისტროს კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმის შედგენა და მისი განხორციელების კოორდინაცია; საქართველოს პარლამენტთან ურთიერთობისა და სამინისტროში მომზადებული საკანონმდებლო აქტების პროექტების საქართველოს პარლამენტში წარდგენის უზრუნველყოფის კოორდინაცია;

ბ) სხვადასხვა უწყებიდან და სამინისტროს სისტემის დაწესებულებებიდან შემოსული, აგრეთვე უშუალოდ სამინისტროს მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების მომზადება; სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით მოქალაქეებისა და იურიდიული პირების საჩივრების განხილვაში მონაწილეობა; სასამართლოსა და სხვა ორგანოებში სამართლებრივ საკითხებზე წარმომადგენლობა.

9. ფინანსური რესურსების მართვის დეპარტამენტი შეიმუშავებს სამინისტროს პოლიტიკას, რომელიც მოიცავს შემდეგ მიმართულებებს:

ა) სამინისტროს სტრატეგიული გეგმებისა და პრიორიტეტული ამოცანების რეალიზაციისათვის საჭირო ფინანსური რესურსების საშუალო და გრძელვადიანი დაგეგმვა;

ბ) ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებებისათვის სამინისტროს წინადადებების მომზადება;

გ) ყოველწლიური ბიუჯეტის პროექტების შედგენა, წარდგენა და დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულება;

დ) სამინისტროს ამოცანებისა და ფუნქციების შესრულების მიზნით, წლიური საბიუჯეტო კანონის საფუძველზე გამოყოფილი ფულადი სახსრების მართვა;

ე) წლიური ფინანსური შედეგების მიხედვით გაწეული ხარჯების ანალიზი;

ვ) საქართველოს საკანონმდებლო ბაზასთან ჰარმონიზაციით სამინისტროს სისტემაში ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშების საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება;

ზ) სამინისტროს წლიური და კვარტალური სტატისტიკური ანგარიშებისა და ნაერთი ბალანსის შედგენა;

თ) სამინისტროს მიმდინარე საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშების წარმოება;

ი) სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

კ) სამინისტროს ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა მატერიალური და სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით ფინანსური რესურსების ოპტიმალური წინადადებების შემუშავება;

ლ) სამინისტროში სამინისტროს მიერ რეალიზებული პროექტების ფინანსური იდენტურობის ანალიზი;

მ) პრიორიტეტების მიხედვით პროგრამების შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად ფინანსურ-ეკონომიკური ანალიზი და ეფექტიანობის შეფასება.

10. პროექტების განხილვისა და მონიტორინგის დეპარტამენტი ახორციელებს სამინისტროს პოლიტიკას შემდეგ მიმართულებებზე:

ა) სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტების მიერ შემუშავებული/ინიცირებული პროგრამების განხილვა, ასევე ფიზიკური და იურიდიული პირების და სამინისტროს სისტემაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ სამინისტროში შემოსული სააპლიკაციო განცხადებების/პროექტების განხილვა;

ბ) დარგობრივი დეპარტამენტების სტრატეგიის, პრიორიტეტების და პროგრამების დაგეგმვის კომპონენტში მონაწილეობა;

გ) სამინისტროში შემოსული სააპლიკაციო განცხადებების/პროექტების განხილვისა და დამუშავების შემდეგ მათი წარდგენა საქართველოს კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიისათვის;

დ) სამინისტროში შემოსული სააპლიკაციო განცხადებების/პროექტების შესრულების მონიტორინგი, ზედამხედველობა და კოორდინაცია;

ე) დარგობრივ და შესაბამის დეპარტამენტებთან კონსულტაციის გავლა სტრატეგიასთან, პრიორიტეტებთან, პროგრამებთან და კონკრეტული პროექტების შესაბამისობის დადგენასთან დაკავშირებით;

ვ) მიმდინარე და განხორციელებული პროექტის შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია, ანალიზი და ანგარიშგება;

ზ) სისტემატიზირებული ინფორმაციის საფუძველზე მუდმივმოქმედი კომისიისათვის და დარგობრივი დეპარტამენტებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა კონკრეტულ პროექტებთან, პროგრამებთან, პრიორიტეტებთან და სტრატეგიასთან დაკავშირებით;

თ) საქართველოს კულტურის სფეროს მდგრადობის უზრუნველყოფის საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის მიერ მოწონებული პროექტის შესახებ ხელშეკრულების და მიღება-ჩაბარების აქტის პროექტის მომზადება;

ი) ხელშეკრულებების კოორდინაცია, ზედამხედველობა და შესრულების მონიტორინგი;

კ) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი.

11. სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ზოგადი უფლება-მოვალეობებია:

ა) სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინირებული მუშაობა, კომპეტენციის ფარგლებში დეპარტამენტების საკანონმდებლო, კანონქვემდებარე და ადმინისტრაციული აქტების პროექტების, ასევე ხელშეკრულების, მიღება-ჩაბარების აქტების შემუშავებაში მონაწილეობა/ვიზირება და დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;

ბ) დეპარტამენტის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ინფორმაციის შეგროვება, სისტემატიზაცია, ანალიზი და ანგარიშგება;

გ) სისტემატიზირებული ინფორმაციის საფუძველზე პრიორიტეტების და პროგრამების შემუშავება, დაგეგმვა და მონიტორინგი და შესაბამისი დეპარტამენტებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების წარდგენა;

დ) პროექტების განხილვისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე შემოსულ მიმდინარე და განსახორციელებელ პროექტებთან დაკავშირებით დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება, მათ შორის პროექტის შინაარსობრივ შესაბამისობასთან ხელშეკრულების საგანთან და მიღება-ჩაბარების აქტთან;

ე) კვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება კურატორი მინისტრის მოადგილისთვის და მინისტრისათვის;

ვ) სამინისტროსა და დეპარტამენტის დებულებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 14 აგვისტოს დადგენილება №204 – ვებგვერდი, 15.08.2013წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბრის დადგენილება №718 – ვებგვერდი, 29.12.2014წ.

მუხლი 9. მინისტრის სათათბირო ორგანოები

1. მინისტრს შეუძლია შექმნას კომისიები და საბჭოები სათათბირო უფლებით (შემდგომში – სათათბირო ორგანოები), განსაზღვროს მათი მოვალეობანი და საქმიანობის წესი.

2. სათათბირო ორგანოს წევრად შეიძლება დანიშნულ იქნეს სხვა სამთავრობო დაწესებულების მოხელე ამ დაწესებულების ხელმძღვანელის წინადადებითა და თანხმობით. მის მუშაობაში შეიძლება, თავიანთი თანხმობით, ჩაბმულ იქნენ პირები, რომლებიც არ არიან სახელმწიფო მოხელეები.

მუხლი 10. სამინისტროს სიმბოლიკა

1. სამინისტროს აქვს მრგვალი, 50 მმ დიამეტრის ბეჭედი, რომლის ცენტრშიც გამოსახულია სახელმწიფო გერბი. რგოლის ზედა მხარეს განთავსებულია წარწერა „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო“.

2. სამინისტრო იყენებს სახელმწიფო დროშას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. „ საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ “ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად სახელმწიფო გერბის გამოსახულება გამოიყენება სამინისტროს ბლანკებსა და სამინისტროს აბრაზე, აგრეთვე სამინისტროს სისტემაში შემავალ დაწესებულებათა ბლანკებსა და აბრებზე.

4. სამინისტროს შეიძლება ჰქონდეს ემბლემა, რომელიც რეგისტრირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. სამინისტროს ემბლემა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სავიზიტო ბარათებზე, კონვერტებზე, სხვა ბეჭდვით გამოცემებსა და სამინისტროს სუვენირებზე.

მუხლი 11. სამინისტროს ქონება

სამინისტროს ქონებას შეადგენს სახელმწიფოს მიერ მის მფლობელობაში გადაცემული ძირითადი და საბრუნავი საშუალებები, საფინანსო რესურსები.

მუხლი 12. სამინისტროს რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია

სამინისტროს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.